ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 314. კვირა, 29 მაისი 1911 წ. დამატების № 55



ნ. შიუკაშვილი, ავტორი „მეგობროობისა“.

მეგობროობა

(დრამა 4 მოქმედებად)

(შემდეგი *)

თამარ. ვინ არის?.. მოსძინდით. .

(შემოდის ვიქტორ).

ვიქტორ. ბოდიშს ვიხდი!.. (სარდიონს). შენ დაგეძებ... შემთხვევით გავიგე, რომ აქა ხარ... კნეინამ დღეს საღამოთი გთხოვა.

სარდიონ. კეთილი!.. (თამარს). თქვენც ხომ იქნებით?

თამარ. არა.

სარდიონ. განა მიწვეული არა ხართ?

თამარ. არჩილსა სთხოვეს, მე-კი...

სარდიონ. არ მესმის!..

თამარ. აბა დაუფიქრდით!.. (იდიმება).

სარდიონ. (ადგდგებით). ნუ თუ!.. ვიქტორ, გადაეცი, რომ მე ვერ მოვალ!

თამარ. ეგ მეტი მოგდით!..

სარდიონ. უკაცრავად, ქ. თამარ,—ეს ჩემი საქმეა!.. ნახვამდის!..

თამარ. ნახვამდის... მართლა!.. თქვენ რედაქციისკენ ხომ არ გაივლით?

სარდიონ. დიახ!..

თამარ. მოითმინეთ!.. (კაკა შეორე ოთახში).

ვიქტორ. (ცბიერად). ჰა!.. სანაძლეოზე როგორა ხარ?..

სარდიონ. (შუბლს შეიკრავს). სსს!.. (კამოდის თამარ).

თამარ. თუ შეიძლება, ეს ქაღალდები რედაქციაში გადაეცით... არჩილს დაავიწყდა.

სარდიონ. დიდი სიამოვნებით! ნახვამდის!..

ვიქტორ. ნახვამდის!

თამარ. ნახვამდის!..

(სარდიონ და ვიქტორ კადიან).

თამარ. (შფოთვას იხურავს). მეც ჩემი უკანასკნელი ვალი ავასრულო!.. (ჩაფიქრდება). რვა თუმანი!.. ჩვენი ცხოვრება მთლად შეიცვლება... მაგრამ... ეს საიდუმლოება!.. (ფოტა ხანს ჩაფიქრებული დგას; მერე მარდად კაკა).

(სტენა კარგა ხანს ცარიელია. არჩილი კაადგებს კარებს)

არჩილ. (კარებიდანვე). თამრიკო!.. (უკან მიბრუნდება). მოდი, კოტე, მარტონი ვართ... (შემოდის არჩილ; უკან შემოჰყვება კოტე გიბიჩიძე). რამდენი ხანია ერთმანეთი აღარ გვინახავს, ჩემო კოტე!.. დაჯექ, დაჯექ... შენ თითქმის არ გამოსცვლილხარ!.. (არჩილი ადგდგებულა და ანჭარებით დაბარაკობს).

კოტე. შენზე ეგ არ ითქმის: ჭაღარა შეგპარვია, დაბერებულხარ!..

არჩილ. რას იზამ, ჩემო ძმაო, ბუნებას წინ ვერ აღუდგები!.. აბა, კოტე, რას მეტყვი?!..

კოტე. რა გითხრა?

ქ. გორის მეხილეთა კრების მიერ არჩეული ბიურო მომავალ აბხაზეთის საქმის მოსაწყობად.

*) იხ. სურათებიანი დამატება № 54.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ. განა არ იცი, რასაც მოველი შენგან?!.. როგორ არიან კატო, ჩემი ელიკო?..

კოტე. როგორცა ვხედავ, ისინი შენზე კარგა უნდა იყვნენ!... კატო სულით არ დაეცა, მხნეობს, არ იტეხინებს... ელიკო ეხლა ვეებერთელა ქალია, ვერც-კი იცნობ!.. მეშვიდე კლასში გადავიდა და დედასთან სწორი ამხანაგივით არის. დიდი ნიჭი გამოიჩინა მუსიკისა და ჩვენი მეცადინეობა მის განვითარებაზე არის მიქცეული.

არჩილ. ჩემო კოტე, შენ ნამდვილი მამის ადგილი დაიჭირე!..

კოტე. მაგაზე ნუ ვილაპარაკებთ!

არჩილ. ნუ გეშინიან,—შენს მეგობრობას ჩვეულებრივი მადლობით არ შეურაცყობ!..

კოტე. მე ესე მარტო-ხელა დავრჩი და ელიკო მავიწყებს ამ ობლობას: მე და იმას ერთმანეთისა არა გვმართებს-რა!..

არჩილ. ელიკოს ნორჩი სული ხომ არ დაიჩაგრა ობლობით და კატოს სევდიანობით?

კოტე. კატო სცდილობს დაჰფაროს თავის მწუხარება, მაგრამ ელიკო, ასე გონია, ინსტინქტიურად რაღაც საიდუმლოებასა ჰგრძნობსო: ხან მხიარულია, ხან-კი უცებ შავი ფიქრები გაიტაცებენ ხოლმე!.. კატოს ხშირად ეკითხება ხოლმე მამაზე...

არჩილ. კატო რაღას ეუბნება?

კოტე. ცდილობს პატივის ცემა ჩაუნერგოს... იცი, ელიკოს მგონი ახსოვხარ კიდეც სიზმარივით!.. ჩემი დიდი მეგობარია და, ეტყობა, მამის სურვილს ჩემზე იკლავს!.. (პაუზა).

არჩილ. კოტე, არ შეიძლება... (პაუზა).

კოტე. რა?

არჩილ. ისე დავთბორე შენი მეგობრობა, რომ თხოვნაც-კი მიძნელდება!..

კოტე. მე ისეთივე მეგობრადა გვთვლი, ჩემო არჩილ, როგორც წინად, მაგრამ შენი ცხოვრების ინტერესი მოსწყვიტე კატოს და ელიკოს... ჩემი მათდამი მეგობრული გრძნობა ამის შემდეგ უფრო განმტკიცდა... ჩვენ ორ ბანაკად გავიყავით და, თუმცა ხიდი ჩატეხილია, მაგრამ მტრული გრძნობა და შურის-ძიება არ არსებობს!..

არჩილ. არ შეიძლება როგორმე... ელიკო ვნახო?.. მისი ხმა გავიგო...

კოტე. მკვდრეთით აღგადგინოთ?!..

არჩილ. როგორ?

კოტე. ელიკოს ისე აქვს ჩაგონებული, ვითომ მამა მოუკვდა... ეგრე ვარჩიეთ...

არჩილ. სინამდვილე რომ გაიგოს?!..

კოტე. მაგის აცდენად ჩვენ ყოველი ღონისძიება გვაქვს მიღებული... იმ სიმორესაც მაგის გულისთვის გადავსახლდით.

არჩილ. განა არ შეიძლება, ისე ვნახო, როგორც უცხო პირმა?

კოტე. მერე უფრო გაგიძნელდება, არჩილ!..

არჩილ. არა უშავს-რა, კოტე: ადამიანი ყველა პირუტყვზე ვამძლე პირუტყვია!.. ელიკოს ნახვის სურვილი ავადმყოფობადა მაქვს გადაქცეული!..

კოტე შეიძლება, თავი ვერ შეიმაგრო... გაამხილო საიდუმლოება...

არჩილ. არა, არა, კოტე!.. ოღონდ მიჩვენე და გაძლევ პირობას, რომ მე, როგორც შორეული ვინმე ნათესავი, უფრო დავარწმუნებ მამის სიკვდილში!..

კოტე. რომ გაგვაცხილო, გესმის რა საძაგელი შედეგი მოჰყვება!.. მე და კატოს მეგობრული ნდობა დაირღვევა!..

არჩილ. ნუ თუ მოვინდომებ კატოსა და ელიკოს დავაშორო ერთად-ერთი მეგობარი?!..

ჩერნოგორიაში გაქცეული ალბანელები.

კოტე. რა გიყო, ჩემო ტანჯულო, არჩილ!.. ამ თქვენ ქალაქში დროებით ჩამოსულა გამოჩენილი მუსიკოსი—პრაფესორი და შეიძლება ორიოდე დღით ელიკო ჩამოვიყვანო საჩვენებლად და რჩევის საკითხავად... მაშინ შენც მოგიყვან...

არჩილ. შენს დაპირებას უკან ველარ წაიღებ!.. მე ეხლა მაგ იმედით ვისულდგმულებ!..

კოტე. (დაფიქრდება). არჩილ, საკვირველი არ არის, რომ მამას შვილის ნახვა ენატრებოდეს, მაგრამ შენ სურვილში ისეთი სასოწარკვეთილება ისმის, ასე გონია, ამ ქვეყნად ელიკოს მეტი აღარა დაგრჩენოდეს-რა!.. ან რას ნიშნავს შენი ესეთი გამოცვლა, დაბერება, მოუძლურება!.. ეგ ყოვლად უბედური, განწირული სახის გამომეტყველება?!

არჩილ. თამარს ნურაფერს დააბრალებ, კოტე: ჩვენ ისევე გვიყვარს ერთმანეთი, მაგრამ განა წარმოსადგენია ჩემს მდგომარეობაში ბედნიერება და სიმშვიდე?! ჩემში ორი მძლავრი გრძნობა შეეხეთქა ერთმანეთს: ან ერთს უნდა დაეთმო, ან მეორეს—არც ერთის ჩაყუჩება-კი არ შეიძლებოდა!.. ჩემი ცოლ-შვილის და თამარის შორის

ვიწრო ბილიკი აღიმართა... ორთავ მხარეს ბურუსით მოცული უფსკრული ჩაწვა... შუაზე გაჩერება შეუძლებელი იყო: ან აქეთ უნდა გადავარდნილიყავ, ან იქით! ვერც ერთში-კი ბედნიერებას და სიმშვიდეს ვერა ვპოვებდი!..

კოტე. იმით მაინც გაიკეთე გული, რომ ბე პატრონობას არ მოვაკლებ შენს ცოლ-შვილს... ელიკო ჩემი ნათლულიც არის და...

არჩილ. შენც რომ არ მეგულებოდე მათთან, არ ვიცი, რა მომივიდოდა!..

კოტე. გული გაიმაგრე, ჩემო არჩილ!.. ეხლა-კი ნახვამდის.

არჩილ. ნახვამდის... ნუ მიწყენ... ერთი კითხვა კიდევ... კატო რომ გასათხოვარი იყო, შენ ის გიყვარდა... მე ზანი უნდა ჰქონდეს ჩემს გულ-ახდილობას—კატო ხომ ველარავის შეიყვარებ!..

არჩილ. (შეგობრულად მოეხვევა). სიყვარულის დაკარგვა ხომ ემძიმება ადამიანს, მაგრამ არ,ც შენისთანა კაცის მეგობრობაა ადვილი დასათმობი!..

კოტე. მშვიდობით!.. (ჩქარნის).

არჩილ. ნახვამდის!.. დაპირება გახსოვდეს!..

კოტე. კარგი... (გადის).

არჩილ. (დაფიქრებული დგას. ოცნებით იდიმება) ნუ თუ ელიკოს ვნახავ!..

(შემოდის თამარ).

არჩილ. (მოეხვევა). შენც მოხვედი, თამრიკო!.. (კაიგდის).

თამარ. მოვრჩი დღევანდელ ვალს... (არჩილი,—ბოლთასა

აჯანყეგულ ალგანელ თემთა მეთაურები.

„ბრუდა".

„კლემენტი".

„ხოტტი".

„მირიდიტები".

ვიცი ეს... მაგრამ შენ ეს გრძნობა ჩაიკალ გულში, დასჩქლამე, რადკანაც კატოს ჩემდამი ლტოლვილება შეატყე...

კოტე. მერე?

არჩილ. ეხლაც გიყვარს?

კოტე. მიყვარს... მაგრამ ეხლა უფრო ვერ შეიტყობს ჩემ საიდუმლო გრძნობას!

არჩილ. ეხლა ხომ თავისუფალია კატო!..

კოტე. კატომ რო ჩემი გრძნობა შეიტყოს, ჩვენი მეგობრობის მარტივი ურთი-ერთობა დაირღვევა... ან რა მი-

სტეპს და ფიქრებში ჩართული იდიმება). შენ აღელვებულსა ჰგევხარ...

არჩილ. არა... ისე... სარდიონი იყო?..

თამარ. იყო... ჩვენს უფროსს ტყუილად ვესარჩლებოდი: მისი საქციელი მართლა საზიზღარი გამოდგაო...

არჩილ. (ფიქრებში ჩართული). ნუ თუ?.. შეუძლებელია!..

თამარ. შენ სიტყვებს არ უკვირდები!.. შენვე თითონ არ იყავ დარწმუნებული...

არჩილ. ჰო, ჰო!.. მართალია!..

თამარ. იცი კიდევ რა, არჩილ... სარდიონმა სამსახური

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემომთავაზა რკინის გზის სამმართველოში...

არჩილ. სამსახური?!.

თამარ. ჰო... დღეში სამი საათი მუშაობა და ოთხი თუმანი ჯამაგირი...

არჩილ. დასთანხმდი?

თამარ. გადაჭრით სიტყვა არ მიმიცია... მინდოდა დავკითხებოდი...

არჩილ. მე ძალიან მოხარული ვიქნები: ჯამაგირიც კარგია და შენ ტანტალსაც ბოლო მოელება!..

თამარ. მართალია, მაგრამ...

არჩილ. რა მაგრამ?.. (ბუზუზა).

თამარ. როგორლაც გული არ მიმიწევს... (ბუზუზა).

არჩილ. არ მესმის!.. თუ მიფარავ რასმეს, არ ვიცი... სხვა-ფრივ-კი შაგ პირობებს უარი არ ეთქმით... (ბუზუზა). თამრიკო... მიფარავ რასმეს?..

თამარ. (ჯიუმანით)... არა...

არჩილ. გახსოვდეს, თამრიკო: თუ სიყვარულში პირადი საიდუმლოება ჩამოვარდება, ეს იმასა ჰნიშნავს, რომ სიყვარულის საძირკველი ითხრება!.. გესმის, თამრიკო?!..

თამარ. მესმის...

არჩილ. ეგრე!.. (მეორე ოთახში კიდის. თამარ თავს ჩაჭიდებს და დრმად დაფიქრდება).

ფარდა.

მოქმედება მეორე

იგივე დეკორაცია. არჩილი გაჩქარებული სწერს.

არჩილ. (საათს დაჭხედავს და თავს აიწეკს). კიდევ დაიგვიანა!.. არ მესმის!.. (განაგრძობს წერას).

(კარებს აკაკუნებენ).

არჩილ. ვინ არის?

(შემოდის ვიქტორ).

ვიქტორ. ეე... ბოდიშს ვიხდი!.. სწერთ... ხელი შეგიშალეთ...

არჩილ. არაუშავს-რა... (ხელს ართმევს). დაბძანდით... (წერას განაგრძობს. საზოგადოდ ამ სცენის განმავლობაში თანა სწერს, თან ვიქტორს ელაპარაკება). ეჰვი არ არის, თამართან გექნებათ საქმე!..

ვიქტორ. დიახ... საათხოვარი გაქვს და ვიმედოვნებთ, რომ საზოგადოებრივი მიზნისთვის თქვენც დაგვეხმარებით, რათა ქ. თამარმა უარი არ გვითხრას!..

არჩილ. მგონი ჩემი დახმარება არ დაგჭირდებათ... (ფარულად ირონიით). თამარი, როგორც თქვენ, „საზოგადოებრივი მიზნისთვის“ უკან არ დადგება!.. რა ამბავია: კონცერტი, წარმოდგენა...

ვიქტორ. დიახ, ცოცხალ სურათებსა ვმართავთ და ქ. თამარის... ნარნარი სიმშვენიერე დაუფასებელი იქნმა ჩვენი მიზნისთვის!..

არჩილ. ნუ თუ ამოდენა ქალაქში „ნარნარი სიმშვენიერე“ სხვა აღარ მოიპოვება?!..

ვიქტორ. მაგისი თქმა... ეე... სიცრუვე და... ეე... პირმოთნება იქნებოდა, მაგრამ... აქ კიდევ ერთი... დაბრკოლება ელობება ჩვენს... დაწყებულობას...

არჩილ. რა დაბრკოლება?

ვიქტორ. ჩვენი... ეე.., გაუნათლებლობა... უკულტურობა... ესე რომ ვსთქვათ, ჩვენი... უიმედო... კონსერვატორობა... ველურობა!..

არჩილ. უხ!.. მაგდენი ერთად?!..

ვიქტორ. დიახ, დიახ—ერთად!.. აი, თქვენ გიკვირთ და თქვენი გაკვირვება არც საკვირველია... ხე-ხე-ხე.., „თქვენი გაკვირვება არც საკვირველია!..“ ხე-ხე... ამას მგონი ტავტალოგია თუ კაკოფონია ჰქვიან... ხე-ხე... დიახ!.. გიკვირთ, როგორც განათლებულ კაცს!..

არჩილ. რაშია მაინც საქმე?

ვიქტორ. ხომ გახსოვთ „ვეფხის ტყაოსნიდან“ ის სურათი, როდესაც ნესტან-დარეჯანს ეშმაკეთში ჰგზავნიან?..

არჩილ. ქაჯეთში...

ვიქტორ. დიახ, დიახ!.. ქაჯეთში... ხე-ხე... საშინელი სუსტი მეხსიერება მაქვს... დიახ, საქაჯეთში!.. ისე დილაადრიან, რასაკვირველია, ნესტან-დარეჯანი... ესე რომ ვსთქვათ—სუბუქად იყო ჩაცმული... ხე-ხე...

არჩილ. ესე რომ ვსთქვათ—პერანგა!..

ვიქტორ. დიახ... ხე-ხე... თითქმის!..

არჩილ. მაგ „თითქმისით“ რა უნდა მიუმატოთ?..

ვიქტორ. რასაკვირველია ამ „თითქმისით“... ხე-ხე... ბევრი არა მოემატება-რა, მაგრამ მაინც... პერანგს გარდა... ხე-ხე... ვინ იცის... ხე-ხე...

არჩილ. მერე, მერე!..

ვიქტორ. ჰო და საქმეც მაგ „მერეშია“... ხე-ხე... ძაან ოხუნჯობის გუნებაზე ვარ... ხე-ხე... ერთი სიტყვით, მთელ ქალაქში არც ერთი ქმარი ნებას არ აძლევს თავის ცოლს მაგ... სუბუქი, მაგრამ მშვენიერი ტანსაცმელით...

არჩილ. ესე-იგი, პერანგა თავისი „თითქმისით“...

ვიქტორ. ხე-ხე... „თავისი თითქმისით“... მგონი თქვენც ოხუნჯობის გუნებაზედა ხართ... ხე-ხე...

არჩილ. (ირონიით) ძალიან!..

ვიქტორ. დიახ, არც ერთი ქმარი ნებას არ აძლევს თავის ცოლს სცენაზე გამოვიდეს!.. ოტელო იქვიანობის ბატკანია შედარებით ჩვენ ქმრებთან!..

არჩილ. მეც წინააღმდეგი ვარ პერანგა სცენაზე ქალის გამოყვანისა!..

ვიქტორ. ნუ თუ!..

არჩილ. ნუ გეშინიანთ!.. თამარს მე არ დავუშლი, თუ თითონ დაგთანხმდათ...

(შემოდის თამარ, მორთული, კეკლუცი, მხიარული მახვრამოხვრა, დაპარკი სულ ახალი ეერისა: თამამი, არშიყული).

თამარ. აა, ბატონო ვიქტორ!.. (ვიქტორი ხელზე ჭკოტნის).

არჩილ. (წერას არ სწყვეტს). აი, შენთან სათხოვარი აქვთ...

თამარ. აბა, დაიწყეთ პირ-და-პირ!.. (შლიპპს იხდის).

ვიქტორ. საქველ-მოქმედო საზოგადოების დავალებით უმორჩილესად გთხოვთ მონაწილეობა მიიღოთ ცოცხალ სურათებში!..

თამარ. რა სურათისთვის დაგჭირდით?

ვიქტორ. ეე... ნესტან-დარეჯანს რომ საქაჯეთში ისტუმრებენ...

თამარ. ზანგი რომ ნავისკენ ეწევა?!..

ვიქტორ. დიახ, დიახ!..

თამარ. წადით და გადაეკითხეთ ჩემი თანხმობა!.. (არჩილ ფანიგ შეკრთება და ტუჩებს იკვნეტს; წერას მაინც განაგრძობს).

ვიქტორ. მართალია?!.. დიდად გმადლობთ!.. ვ-სწრაფი... ნახვამდის!.. (ხელზე ჭკოტნის. არჩილს). ხელს არ შეგიშლით...

არჩილ. ნახვამდის... (უფრო დაიდუნებს და სწერს).

(ვიქტორ გარბის).

(შემდეგი იქნება)



რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი. მადათოვის კუნძული, სტამბა „სორაპანი“